მოგესალმებით,

სინერჯი კაპიტალის ამოცანაა, ერთი მხრივ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს მაღალმომგებიანი საინვესტიციო პორტფელის შექმნაში; ამასთან, ამ ადამიანებს მისცეს შესაძლებლობა, თავისი ცოდნა და გამოცდილება სწორი მეთვალყურეობით გადასცენ მათ მიერ ინვესტირებულ კომპანიებს და, მეორე მხრივ, ბაზარზე მოძებნოს მომავლის ლიდერი ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ ზრდის მაღალი პოტენციალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს გარეთ. ამასთან, მათ უკვე აქვთ დანერგილი ან სრულ მზაობას გამოთქვამენ კარგ მმართველობასა და გამჭირვალე ანგარიშგებაზე.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა კომპანიები, რომლებმაც მიაღწიეს განვითარების გარკვეულ დონეს, მაგრამ მენეჯმენტისა თუ კაპიტალიის ნაკლებობის გამო დღეს უჭირთ წინსვლა.
კომპანიების რეალური მდგომარეობა ძალიან ხშირად ყველაზე კარგად სწორედ ფინანსურმა დირექტორმა, აუდიტორმა, ბუღალტერმა ან აუთსორსზე მყოფმა ფინანსურმა და საგადასახადო კონსულტანტმა იცის.

პატივცემულო ფედერაციის წევრებო, სწორედ ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული შეხვედრა სასარგებლო იქნება როგორც ჩვენი კომპანიისთვის, ასევე თქვენთვის. ჩვენ წარმოგიდგენთ ჩვენი კომპანიის სერვისებს და შესაძლებლობებს, რომლებიც შესაძლოა დაეხმაროს კომპანიას ბაზარზე ლიდერის პოზიციის დაკავებაში, ხოლო თქვენგან დიდი სიამოვნებით მოვისმენთ, თუ რა საჭიროებები აქვთ კომპანიებს, რათა უფრო მეტი სერვისი შევთავაზოთ მომავალში.

პატივისცემით,

სინერჯი კაპიტალის პორტფელის განვითარების დირექტორი

დიმიტრი ქუმსიშვილი